1930

Звезда

№ 2

გაიტელი გლეხი

გაიტელი გლეხი

რედაქციისაგან!

რემედასის ყველა საოლქო, სამაზრო და რაიონული კომიტეტები ვალდებულნი არიან გამოარკვიონ ჟურნალ „რემედას“-ის ხელისმომწერთა რაოდენობა და სრული ცნობები წარმოადგინონ რემედასის საქ. ცეკას გამომცემლობაში ყოველი თვის 15-დე. წინაალმდგ. შემთხვევაში ჟურნალს ვერ მიიღებენ ხელისმომწერლები.

ჟურნალ „რემედას“-ის რედაქცია.

აჯანყება გაიტში

გაიტის რესპუბლიკა 1915 წ. ამერიკის შეერთებულ შტატების მფარველობის ქვეშ იმყოფება. აქ გასული წლის დეკემბრის პირველ რიცხვებში დაიწყო გლეხთა აჯანყება. გლეხთა შეიარაღებული რაზმები შეიჭრენ სანაოსნო ქალაქ პორ-ო-კეისში, სადაც საზღვაო ფეხოსან ჯარსა და ამ აჯანყებულ გლეხებს შორის მოხდა სისხლის მღვრელი შეტაკება. დაიჭრა 20 კაცი, — მოკვდა ხუთი. იმავე დროს უდიდესი შეტაკებებს ჰქონდა ადგილი კუნძულის სამხრეთ ნაწილში ქ. უაკელში. მთელი მხარე ელვის სისწრაფით მოიცვა გაფიცვამ.

ამერიკის ხელისუფლება აჯანყების მიზეზათ ასახელებს „ჩამოსული ბოლშევიკების“ მიერ გაწეულ აგიტაციას. სინამდვილეში კი ეს ამბები გამოწვეული იმ ყოვლათ საზიზღარი ექსპლოატაციით, რომელიც, როგორც ამერიკის სხვა კოლონიებში, ისე აქ მძვინვარებს. გაიტი არის პატარა რესპუბლიკა, რომლის მცხოვრებთა რაოდენობა არ აღემატება 2½ მილიონ კაცს. ეს მეტისმეტად მდიდარი და ნაყოფიერი ქვაყანაა. აქ ხარობს ყოველყვარი კულტურული მცენარე: აქ იზრდება შაქრის ლერწამი და სხვ. გარდა ამისა ის გადაშლილია პანამის უდიდესი არხის მახლობლათ, სადაც უმთავრესათ დგებიან ამერიკის სამხედრო გემები. ამერიკის იმპერიალისტები დაინტერესებულნი არიან დაიცვან ამ კუთხის „მშვიდობიანობა“, ვინაიდან აქაურ პლანტაციებში უამრავი ფული აქვთ ჩაყრილი ამერიკელ კაპიტალისტებს.

ეხლანდელი გლეხთა აჯანყება გამოიწვია ამერიკის მთავრობის მიერ განზრახულმა პოლიტიკამ. ამერიკის მთავრობა, რომლის მონა მორჩილი და ერთგული ყმაა გაიტის რესპუბლიკის მთავრობა, ცდილობდა ჩამოერთმია ადგილობრივი გლეხებისათვის ის მიწები, რომლებსაც ისინი ფლობდენ დღემდის. ამერიკის მთავრობის აზრით ეს მიწები გლეხებმა უკანონოთ დაიუფლეს. ამ მოსაზრებას მხარს უჭერ და გაიტის რესპუბლიკის მთავრობაც.

საქმე იმაშია, რომ 125 წ. წინათ გაიტში მოხდა რევოლიუციონერ ფრანგი პლანტატორების წინააღმდეგ რომლებიც იმ დროს იყვენ ამ კუნძულის ბატონ-პატრონი. ადგილობრივმა გლეხებმა შეერთებული ძალღონით განდევნეს ეს არამკითხე მოძალადე ბატონები და თვითონ დაეუფლენ მიწებს. ეხლა კი, რაღაც ახალი კანონის ძალით გლეხებს სთხოვენ წარმოადგინონ ისეთი საბუთები, რომელიც დაამტკიცებენ მათ უფლებებს აღნიშნულ მიწებზე. ამ ნიადაგზე ამხედრდა და აჯანყდა ადგილობრივი გლეხობა და იერიში მიიტანეს ამერიკელებზე.



გაიტის რესპუბლიკის სატახტო ქალაქი პორტ-ო-პრენს — ზღვიდან

363(ლ)(05)
ა43.

წელიწადი მეშვიდე

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

№ 2
თებერვალი
1930

რემედასი

რემედასის საქართველოს ცენტრალურ და ტფილისის საოლქო კომიტეტების ყოველთვიური ორგანო

რედაქციის მისამართი: ტფილისი, კომინტერნის ქ. №5, II-რე სართ.
ტელ. 17 42.

044

რემედასის მონაწილეობა თესვის კამპანიაში

რემედასი მთელ თავის მუშაობას უფარდებს პარტიისა და საბჭოთა ხელისუფლების საქმიანობას. რემედასი როგორც მასიური საზოგადოებრივი ორგანიზაცია მხურვალე მონაწილეობას ღებულობს საბჭოთა ხელისუფლების ყოველგვარ ახალ წამოწყებებში. სხვანაირად არ შეიძლება იყოს, ვინაიდან რემედასი არის ისეთი საზოგადოებრივი ორგანიზაცია, რომელიც აწარმოებს მშრომელი მასების ინტერნაციონალურად აღზრდის საქმეს და მიზნად ისახავს მატერიალური დახმარება აღმოუჩინოს კაპიტალისტურ ქვეყნებში მებრძოლ მუშათა კლასს.

რემედასი ვერ გაატარებს ცხოვრებაში იმ უდიდეს ამოცანებს, რომლებიც დაკისრებული აქვს მას, თუ საბჭოთა კავშირი, ეს ერთად-ერთი მუშურ-გლეხური ქვეყანა არ იქნება განმტკიცებული და გამაგრებული. ამიტომ ის დაინტერესებულია ყველა იმ საშინაო და საგარეო საკითხებით, რომელსაც აყენებს პარტია და ხელისუფლება. რემედასის ორგანიზაციაც პირნათლად ემსახურება კომპარტიის მიერ წამოყენებულ ამოცანებს.

დღეს ჩვენს წინაშე სდგას პირველხარისხოვანი და გადაუდებელი ამოცანა: ეს არის სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაცია და ამასთან დაკავშირებით საგაზაფხულო თესვის კამპანიის ჩატარება.

როგორც ვიცით საკავშირო კომპარტიის ცეკამ გასული წლის დეკემბრის 28 თარიღით გამოქვეყნებულ წერილში ხაზგასმით აღნიშნა, რომ: „თესვის კამპანიის აქტიურად ჩატარებაში ჩაბმული უნდა იქნეს მთელი საბჭოთა საზოგადოებრივობა და მისი საქმიანობის ყოველგვარი ფორმები უნდა გახდეს ჩვენი ქვეყნის სოციალისტური აღმშენებლობის ბერკეტი, რათა ამრიგად უზრუნველვყოთ ნათესების სივრცის გადიდება, მოსავლის მეტი ნაყოფიერება და კოლმეურნეობათა რიცხობრივი და ხარისხობრივი ზრდა“.

რემედასმა თავის ყოველდღიური მუშაობა უნდა დაუკავშიროს თესვის კამპანიის ჩატარების ამოცანებს. ჩვენი ორგანიზაციები ვალდებულნი არიან ხელი შეუწყონ პარტიასა და საბჭოთა ხელისუფლებას სოფლის მეურნეობის რეკონსტრუქციის უდიდესი ამოცანების განხორციელებაში.

ამ ამოცანებს გვერდს ვერ აუხვევს რემედასის ვერც ერთი უჯრედი. ამისათვის საჭიროა დაუყონებლივ, დაწყებული რემედასის ცეკადან სოფლის უჯრედებამდე გამომუშავებული იქნეს კონკრეტიული ღონისძიებანი საგაზაფხული თესვის კამპანიაში მონაწილეობის მისაღებად. ეხლავე გათვალისწინებული და ჩამოყალიბებული უნდა იქნეს საბჭოთა და კოლმეურნეობებში რემედასის მუშაობისა და მონაწილეობის ყოველგვარი ფორმები.

დღეს, როცა საბჭოთა ქვეყანაში იწყება სრულიად ახალი ისტორიული ეტაპი, როცა მთელი რაიონები და ოლქები გადადიან მთლიან კოლექტივიზაციაზე, სოფლად მომუშავე რემედასელები ვალდებულნი არიან აუხსნან მშრომელ მოსახლეობას თესვის კამპანიის უდიდესი მნიშვნელობა და გლეხკაცობა მთლიანად ჩააბან კოლექტივიზაციაში.

დღეს ჩვენს წინაშე სდგას ლოზუნგი: „რემედასელებო კოლმეურნეობისაკენ“! ამ ლოზუნგის ირგვილვ უნდა დაირაზმოს რემედასის წევრთა მასა, მან უნდა გააჩაღოს გლეხობაში ფართე ახსნა-განმარტებითი მუშაობა კოლექტივიზაციის მნიშვნელობის შესახებ. ამ მიზნით ახალ ღონისძიებებთან ერთად გამოყენებული უნდა იქნეს ჩვენს ორგანიზაციაში დღემდე არსებული მუშაობის ყოველგვარი მეთოდები.

სოფლის უჯრედებმა ერთი-ორად უნდა გააფართოვონ თავიანთი მუშაობა კოლმეურნეობებში. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ დღემდის ბევრ კოლმეურნეობაში არაა ჩამოყალიბებული რემედასის უჯრედი, რაც უნდა მიეწეროს ამა, თუ იმ რაიონის, ოლქის, ან მაზრის კომიტეტების უმოქმედობას. ამ გარემოებას ჯეროვანი ყურადღება უნდა მიექცეს და ეს ნაკლი ამთავითვე უნდა იქნეს გამოსწორებული.

რემედასის საკავშირო ცეკას უკანასკნელი პლენუმის დადგენილების თანახმად: საბჭოთა და კოლმეურნეობები უნდა გადავაქციოთ მშრომელთა ინტერნაციონალურად აღზრდის ცენტრად.

ამ ამოცანების განსახორციელებლად უდიდესი აქტივობის გამოჩენა შეუძლიათ და უნდა გამოიჩინონ კიდეც რემედასის ქალაქის უჯრედებმა. ამ უკანასკნელებმა ყოველმხრივად ხელი უნდა შეუწყონ სოფლის უჯრედებს მუშაობის ახალი ფორმების ჩამოყალიბებაში და კოლმეურნეობებში რემედასისათვის მკვიდრი ნიადაგის მოსაპოვებლად.

დღეს მთელს საბჭოთა კავშირში ფართედ გაშლილია ფაბრიკა-ქარხნების შეფობა მნიშვნელოვან სასოფლო-სამეურნეო რაიონებზე. აქეთკენ იგზავნება მწარმოებელი მუშებისა და კულტურული ძალებისაგან შემდგარი სხვადასხვა ბრიგადები; მყარდება მჭიდრო, ცოცხალი კავშირი ქალაქის მუშასა და გლეხკაცობას შორის, სწარმოებს მიწერ-მოწერა, ფართოდ იშლება სოციალისტური შეჯიბრება და სხვა. მაგრამ უნდა აღვნიშნოთ, რომ ამ ფაბრიკა-ქარხნების რემედასის უჯრედები ვერ აწარმოებენ სათანადო მუშაობას. ისინი ვერ უწევენ შეფობას მათზე მიმაგრებულ რაიონებს. ამიტომ არის, რომ მათზე მიმაგრებულ რაიონებში შესამჩნევად მოიკოჭლებს რემედასის მუშაობა.

ჩვენ უნდა ვეცადოთ მაქსიმალურად გამოვიყენოთ ყველა ის კულტურული და მუშური ბრიგადები, რომლებიც კოლექტივიზაციის ამოცანებთან დაკავშირებით მიემგზავრებიან ადგილებზე. მათ უნდა დავავალოთ რემედასის ხაზით აუცილებელი მუშაობის ჩატარება, რათა ამრიგად გამოვასწოროთ ის ნაკლი, რომელიც ახასიათებს ჩვენს მუშაობას ბევრ რაიონებში.

რემედასი მიმართავს ყველა იმ მუშებს, რომლებიც მოჰყვენ ბრიგადებში, ჩაატარონ ადგილებზე ახსნა-განმარტებითი მუშაობა რემედასის იდეების პოპულიარიზაციის მიზნით, გაავრცელონ გლეხურ მასაში საერთაშორისო მუშათა კლასსა და ჩვენს შორის მუშური ერთსულოვნების გრძნობების განსამტკიცებლად, რაიც ხელს შეუწყობს საერთაშორისო სოციალისტური რევოლიუციის მტკიცე ზურგის შექმნას და მატერიალური დახმარების გაძლიერებას, რომელსაც ჩვენგან მოითხოვს კაპიტალისტურ და კოლონიალურ ქვეყნებში მებრძოლი მუშათა კლასი და გლეხკაცობა.

ჩვენ ღრმად დარწმუნებული ვართ, რომ აქ წამოყენებული ამოცანები გამოხმაურებას ჰპოებენ ადგილებზე მომუშავე ამხანაგებში და ხელს შეუწყობენ იმ დიდი ამოცანების განხორციელებას, რომელიც დღეს სდგას საბჭოთა ხელისუფლების და რემედასის წინაშე.

ჩვენ გვჯერა, რომ სოფლად მიმავალი ამხანაგები ერთიორად გააძლიერებენ მშრომელი მასების ინტერნაციონალურად აღზრდის საქმეს და ჩვენს სოფლებში კაპიტალიზმის უკანასკნელი ფესვების აღმოფხვრასთან ერთად ხელს შეუწყობენ საბჭოთა სოფლის მეურნეობის განვითარებას და ჩვენი ორგანიზაციის მტკიცე ნიადაგის დამყარებას.

რემედასის ორგანიზაციები საქართველოში

თამამად შეიძლება განვაცხადოთ, რომ წარსულ წლებთან შედარებით ჩვენ დიდი მიღწევები გვაქვს დღეს. უკანასკნელი 1929 წ. განმავლობაში რემედასის ორგანიზაცია თვალსაჩინოთ განმტკიცდა საქართველოში.

ამ გარემოების ნათელსაყოფად ჩვენ შეგვიძლია მოვიმარჯვოთ ოფიციალური ცნობებით, მაგალითად, თუ



იაპონიის მთავრობა თანდათან აძლიერებს პოლიციელებს მუშათა რევოლიუციონურ მოძრაობის წინააღმდეგ საბრძოლველათ. სურათზე: იაპონიის პოლიციის მეცადინეობა ქ. ტოკიოში.

1928 წ. პირველ იანვრისათვის რემედასის საქართველოს ორგანიზაციებში ირიცხებოდა 930 უჯრედი 61.219 წევრით — 1930 წ. პირველ იანვრისთვის უჯრედთა რაოდენობა აღწევს 1040, ხოლო წევრთა რიცხვი — 120.000. როგორც ვხედავთ უჯრედთა რიცხვს მოემატა 110, ხოლო წევრებს დაახლოვებით 60.000 კაცი.

1927 წ. რემედასის საქ. ცენტრ. კომიტეტის შემოსავალი უდრიდა 20-30 ათას მანეთს. დღეს კი ეს თანხა 80.000 მან. გაიზარდა. ამ თანხიდან წლიურ განაკვეთის თანახმად გასულ წელს რემედასის საკავშირო ცეკას გადაეგზავნა 50.000 მან., ამდენივე უნდა გადაეგზავნოს მიმდინარე წელსაც, რაც დანიშნულებისამებრ უნდა მოხმარდეს უცხოეთის საპატიმროებში მოქცეულ ტყვე-რევოლიუციონერებს და მათი ოჯახის წევრებს.

ჩვენს მიერ მოყვანილი ცნობა ადასტურებს იმ გარემოებას, რომ რემედასის მუშაობის ნაყოფიერება ერთიორად გაიზარდა, რაც ეჭვს გარეშეა გამომდინარეობს იქიდან, რომ ჩვენი ქვეყნის მშრომელი მოსახლეობა უდიდეს სიმპატიით და ყურადღებით ეპყრობა ამ ორგანიზაციას.

ინტერეს მოკლებული არ იქნება, თუ აქვე დავასახელებთ ცალკე ოლქებისა და მაზრების მუშაობის შესახებ სათანადო ცნობებს. დარაიონებასთან დაკავშირებით ტფილისის ოლქს შემოუერთდა ბორჩალოსა და დუშეთის ყო

ფილი მაზრები თავიანთი რაოდენობით. თვით ქ. ტფილისი დაყოფილია სამ-რაიონად: ქალაქის, 26 კომუნართა სახელობის და ლენინის რაიკომი. ყველა ამ რაიონებში მუშაობა სასურველ დონეზეა დაყენებული. სწარმოებს გეგმა-შეწონილი მუშაობა და მათი ხარჯთ-აღრიცხვა სრულდება სრული 100 პროც., ზოგან კი გადაჭარბებითაც.

სამწუხაროდ ასე არ ითქმის ბორჩალოს რაიკომზე, აქ ჯერჯერეობით მუშაობა სუსტია. ტფილისის კომიტეტს მართებს ყოველგვარი ღონისძიება მიიღოს ამ რაინში მუშაობის გამოსასწორებლად.

ასევე უნდა ითქვას ახალქალაქსა და ახალციხეზე. არც აქ არის მუშაობა. საქმე იმაშია, რომ ეს რაიონები გეოგრაფიულად დაშორებულია ცენტრს, ესეც რომ არ იყოს მიმოსვლის საქმე ვერ არის მოგვარებული და მათ მხოლოდ წერილობითი კავშირი აქვთ ცენტრთან, რაც ყოველთვის ვერ აღწევს სასურველ შედეგებს. მუშაობა კი ძალზე სუსტია, რაც დაუყოვნებლივ უნდა იქნეს გამოსწორებული. აქვე უნდა აღვნინოთ, რომ ამ ნაკლის არსებობაში ადგილობრივ, პარტიულ და პროფესიონალურ ორგანიზაციებსაც მიუძღვით ბრალი. ისინი სრულიად არ აქცევენ რემედასს ყურადღებას, ზოგჯერ ეს უკანასკნელნი მიზანშეწონილ წამოწყებასაც კი უშლიან ხელს.

ყველგან როდია ასეთი უნუგეშო მდგომარეობა. მაგალითად, ჩვენი ორგანიზაცია ძლიერია ქუთაისის ოლქში. დარაიონების შემდეგ ამ ოლქს შემოუერთდა შორაპნის და რაჭა-ლეჩხუმის ყოფილი მაზრები. დღემდის ამ ორ მაზრაში რემედასის მუშაობა ვერ იდგა სათანადო სიმაღლეზე, მაგრამ ქუთაისის საოლქო კომიტიტის საქმიანი ხელმძღვანელობით იქაც დაეტყო მუშაობას გამოცოცლება.

ქუთაისის ოლქის უკანასკნელ პლენუმზე ცალკე რაიონებათ იქნა გამოყოფილი: შორაპანი, ზესტაფონი, ჭიათურა, საჩხერე და ხარაგაული. აღნიშნულ რაიკომებში საკმაოდ მომზადებული ამხანაგები არიან მიმაგრებულნი და ისინი უშუალოდ ექვემდებარებიან რემედასის ქუთაისის საოლქო კომიტეტს. არ შეიძლება ითქვას, რომ ამ რაიონებში სუსტი იყოს რემედასის მუშაობა, მაგრამ ქუთაისის საოლქო კომიტეტმა უფრო მეტი ხელმძღვანელობა უნდა გაუწიოს მათ, განსაკუთრებით კი ჭიათურას, სადაც 10-12 ათასი მუშა მუშაობს, ხოლო რემედასის რიგებში კი ძალიან მცირე რიცხვია ჩაბმული.

ქუთაისის ოლქი მიმდინარე წელში დიდ იმედს იძლევა. მისი წლიური ხარჯთ-აღრიცხვა 45-ათას მანეთს ითვალისწიგნებს, თუ კი ეს, როგორც ის გვპირდება სრული 100% შესრულდა, უნდა ითქვას, რომ ქუთაისი პირველ ადგილს დაიჭერს ჩვენს ოლქებში.

ჩვენი ორგანიზაციების მუშაობა კარგადაა დაყენებული: აჭარისტანში, აბხაზეთში, ზუგდიდსა და განსაკუთრებით ფოთის მაზრაში. ეს უკანასკნელი ერთ-ერთ საუკეთესო რაიონად ითვლება რემედასის ხაზით, რაც უნდა მიეწეროს ადგილობრივ პარტ-ორგანიზაციის კარგ ხელმძღვანელობას და რემედასში მომუშავე ამხანაგების ენერგიულობას.

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ამ ბოლო ხანებში გამოცოცხლება დაეტყო სენაკის და ოზურგეთის მაზრებსაც. 1929 წ. ამ ორ მაზრაში სრულიად ჩამკვდარი იყო რემედასის მუშაობა, წელს კი ცეკას მიერ მიღებულ სათანადო ზომების წყალობით მდგომარეობა შეიცვალა, მაგრამ თუ ადგილებზე მომუშავე ამხანაგები ვერ გაითვალისწინებენ წარსულში დაშვებულ შეცდომებს მოსალოდნელი იქნება ისევ იმავე მდგომარეობაში დაბრუნდება.

სამხრეთ-სლავიელი გლეხი-ქალი ქალაქში მიდის სამუშაოს საშოვნელათ

რაც შეეხება გორის ოლქს აქ მუშაობა სრულიად არ არის. ადგილობრივმა ამხანაგებმა ვერ გამოიჩინეს სათანადო უნარიანობა და ვერ უწევენ რემედას შესაფერის ხელმძღვანელობას. გორის ოლქში მომუშავე ამხანაგებმა ხელმძღვანელობა უნდა გაუწიონ ისეთ მუშურ რაიონებს როგორიცაა: ხაშური და ბორჯომი. აქ ჩვენ გვყავს მხოლოდ 5.000 წევრები. ეს ხდება მაშინ, როცა სამტრედიის რაიკომი აერთიანებს 4.000 წევრს. რას ნიშნავს ეს, თუ არა გულგრილად მოპყრობას რემედასისადმი? ქუთაისიც

ხომ ისეთივე ოლქია, როგორიც გორის, მაშ რაშია საქმე? თუ ქუთაისის ოლქში რემედასის წევრთა რაოდენობა 40 ათასზე მეტია, გორმა რაღა დააშავა, რომ 5 ათას ვერ გასცილდა და ისიც ვინ იცის ჰყავს თუ არა მას სინამდვილეში? როგორც ვხედავთ აქ ჩვენ ადგილობრივად მომუშავე ამხანაგების უვარგისობასთან გვაქვს საქმე! ადგილობრივ პარტ-ორგანიზაციასთან შეთანხმებით უნდა მოხდეს რემედასის გორის კომიტეტის შემადგენლობის გადახალისება, წინააღმდეგ შემთხვევაში საქმეს წინ ვერ წავწევთ.

ადგილებზე პარტიული და პროფესიონალური ორგანიზაციები აქტიურად უნდა ჩაებან რემედასის ყოველდღიურ საქმიანობაში. იმათ ხელმძღვანელობა უნდა გაუწიონ რემედას იმ უდიდეს ამოცანების განხორციელებაში, რომელიც ჩვენს წინაშე სდგას დღეს გადასაჭრელად.

წინააღმდეგ შემთხვევაში მუშაობის ნაყოფიერებაზე ლაპარაკი ზედმეტი იქნება. ეს უნდა გაითვალისწინონ ადგილებზე მომუშავე ამხანაგებმა.

ვლ. თოდრია.

თანხების ინკასაცია ფოსტის საშვალებით

ხელშეკრულება, რომელიც დადებული იქნა 1928 წ. დამლევს საკავშირო რემედასის ცეკას და ს. ს. რ. კ. ფოსტა-ტელეგრაფის კომისარიატს შორის რემედასის თანხების ფოსტის საშუალებით ინკასაციის შესახებ არსებითად სცვლის დღემდის არსებულ ფულის გადაგზავნისა და საწევრო მარკების, თუ წიგნაკების მიღების წესებს ქვემდგომ ორგანიზაციების მიმართ. ამავე დროს იცვლება ანგარიშგებაც.

აღნიშნული სისტემა რემედასის საქართველოს ორგანიზაციის მიერ ნაწილობრივ გატარებული იქნა ცხოვრებაში. დღეს კი — ჩვენ დაკვრითი წესით უნდა გავატაროთ მთლიანად თანხების ინკასაცია ფოსტის საშუალებით.

დაბრკოლებები, რომლებიც გველობებიან ამ სისტემის შემოღების დროს პირდაპირ გამომდინარეობს ადგილების მოუმზადებლობისაგან; განსაკუთრებით საოლქო და სამაზრო კომიტეტების მდივნების მოუმზადებლობისაგან, რომლებმაც კარგად ვერ შეითვისეს ჩვენს მიერ გადაგზავნილი ცირკულიარები ამ ახალი სისტემის გატარების შესახებ.

ბერლინის პოლიციის უფროსი ცერგიბელი, რომელმაც მაისის დღეებში მუშების სისხლით მორწყო ბერლინის ქუჩები. ფაშისტებს ნებას აძლევს თავისუფლათ მოაწყონ დემონსტრაცია. სურათზე: „ფოლადის მუზარად"-ის დემონსტრაცია ნეიკელში (ბერლინი), სადაც მაისში პოლიციელებმა ამოჟლიტეს მუშათა დემონსტრაცია.

ახალი სისტემის ნაწილობრივად გატების დროს ჩვენ წავაწყდით ტეხნიკურ ხასიათის დაბრკოლებებს. თანხების გადმოგზავნისას ადგილებმა უნდა შეავსონ სპეციალური საფულე ბარათები. ოლქკომებისა და მაზრკომების მდივნები ვერ ავსებენ სისწორით ამ ბარათებს, რაც იწვევს გაუგებრობას ჩვენსა და ფოსტას შორის ურთიერთ ანგარიშების სწორების დროს. ასეთი შეცდომები გამოწვეულია მდივნების დაუდევრობით. ცხადია თუ ასეთ შეცდომებს უშვებენ ჩვენი ოლქკომებისა და მაზრკომების მდივნები, მაშინ როდესაც აღნიშნულ სისტემაზე გადავიყვანთ უჯრედებს, ჩვენ უფრო მეტ შეცდომებს მივიღებთ. ეს ახალი სისტემის ნაკლად კი არ უნდა ჩაითვალოს, არამედ ეს არის ჩვენი მოუმზადებლობა, რომლის გამოსწორება ძალიან ადვილი საქმეა. ამისათვის კი საჭიროა მოვაწყოთ უჯრედების მდივნების თათბირები და პრაქტიკულად შევასწავლოთ მათ აღნიშნული სისტემა; აუხსნათ მისი მნიშვნელობა და ის გარემოება, თუ მათ მიერ დაშვებული ტეხნიკური შეცდომები რამდენ გაუგებრობას იწვევს ფოსტა-ტელეგრაფთან ანგარიშსწორების დროს. თუ ამას ჩვენ ჯეროვანად გავითვალისწინებთ, მსგავს შეცდომებს არ დაუშვებთ და შევსძლებთ წინასწარ ავკვეთოთ ის.

ჩვენ უნდა მივაქციოთ ყურადღება, რათა ყველა საფოსტო განყოფილებებში იყოს საწევრო მარკებისა და წიგნაკების საკმაო რაოდენობა. ზოგიერთ ადგილობრივ ორგანიზაციებიდან, როგორიცაა: ქუთაისი, აფხაზეთი, კახეთი, ტფილისის ქალაქისა და ლენინის რაიკომები სჩივიან ადგილობრივ საფოსტო განყოფილებებში არ არის საწევრო მარკების საკმაო რაოდენობაო.

ვინ არის ამაში დამნაშავე? რასაკვირველია ადგილობრივი ორგანიზაცია! ჩვენი ორგანიზაციის აცერთ მომუშავეს არ მიუთითებია საფოსტო განყოფილებისთვის დადებულ ხელშეკრულებასა და მის ვალდებულებაზე. თუ ფოსტა ბიუროკრატობას იჩენს, ჩვენ ვალდებულნი ვართ მივმართოდ შესაფერის ორგანოებს, ვამხილოთ ისინი განსაკუთრებით დღეს, როდესაც ხთება გენერალური გადასინჯვა მთელი საფოსტო აპარატისა.

უნდა აუხსნათ მათ, რომ მათი დაუდევრობით ფერხდება რემედასის საქმე და, თუ ყოველივე ამან არ იმოქმედა მათზე ჩვენი მომუშავენი ვალდებულნი არიან შეუდგინონ მათ მომხდარ გაუგებრობაზე შესაფერისი ქმანი და გადაგზავნონ ზემდგომ კომიტეტში საჭირო ზომების მისაღებად.

ასეთ ზომებისთვის კი არცერთ ჩვენს ორგანიზაციის მომუშავეს არ მიუმართია.

დღეს, როდესაც ჩვენ გვინდა გადავიყვანოთ მთელი უჯრედები ახალ სისტემაზე, საჭიროა ოლქკომების და მაზრკომების მომუშავეებმა წინასწარ მისცენ განაწილება საფოსტო კონტორებს, რათა უკანასკნელმა გადაგზავნონ შესაფერისი რაოდენობის საწევრო მარკები და წიგნაკები მითითებულ რაიონებში, რათა უჯრედებს არ შეუფრხდეს მუშაობა — მარკების და წიგნაკების უქონლობის გამო საფოსტო განყოფილებებში. ამ საკითხთან პირდაპირ დამოკიდებულებაშია საბრუნავი თანხის მიცემა.

ამისათვის საჭიროა რაიკომებმა გამოიკვლიონ თუ რა რაოდენობის მასალებია საჭირო წლის ერთ მეოთხედში და იმ რაოდენობის მასალები მისცენ უჯრედებს საბრუნავ ფონდისათვის. არის შემთხვევები, როდესაც ქვემდგომი კომიტეტები ამახინჯებენ ამ საკითხს და ითხოვენ საბრუნავ ფონდისათვის იმ რაოდენობის მასალებს, რომლითაც შეიძლება დაკმაყოფილდეს რამოდენიმე კომიტეტი. ასეთი მიდგომა საკითხისადმი ყოვლად დაუშვებელია. არის ისეთი შემთხვევებიც, როცა გადაგზავნილი საბრუნავ ფონდისათვის მასალები გაუვრცელებია კომიტეტს უშუალოდ თვითონ. არ გაუნაწილებია უჯრედებს შორის და არ გამოუყიდია საფოსტო განყოფილებიდან გავრცელებულ რაოდენობის მასალები, არამედ მიღებული თანხა მასალების გავრცელებისაგან უშუალოდ გადაუგზავნიათ ცეკაში. ყოვლად მიუღებელია ეს, ვინაიდან ცეკას საბრუნავ ფონდისათვის განსაზღვრული რაოდენობის მასალები აქვს და მეორეჯერ არ შეუძლია გადაუგზავნოს ამა თუ იმ კომიტეტს საბრუნავ ფონდისათვის დამატებითი მასალები.

საბრუნავ ფონდის განაწილების დროს უჯრედებს შორის შეიძლება ჰქონდეს ასეთ შემთხვევას ადგილი, რომელიმე მძლავრი უჯრედი უარს განაცხადებს საბრუნავ ფონდზე. რათ გვინდა ეს, როდესაც ის გამოიწვევს მხოლოდ დავალიანებას კომიტეტისადმი. მასალები ფოსტიდან უნდა შევიძინოთ მხოლოდ ნაღდ ანგარიშზე, ვინაიდან ჩვენ მოგვეპოვება საამისო შესაფერისი თანხები. ასეთი განცხადება არ არის საფუძვლიანი, ვინაიდან იმ თანხებს, რომლებიც მოიპოვება უჯრედებში სპეციალური დანიშნულება აქვს და ამის მიხედვით უნდა იქნას ის გამოყენებული.

ყველა უჯრედს უნდა მიეცეს საბრუნავი ფონდი, მხოლოდ მხედველობაში მიღებული უნდა იქნეს უჯრედის დავალიანება, რათა უკანასკნელი შეიტანონ საბრუნავ ფონდში განაწილების დროს. აქ მხედველობაში არ უნდა მივიღოთ მკვდარი დავალიანება; როდესაც აღნიშნული დავალიანება აკრებილი იქნება იმ თანხით გამოყიდულ უნდა იქნას საჭირო მასალები ფოსტის განყოფილებიდან.

მოსკოვში მოწვეული პიონერთა საერთაშორისო შეკრებაში მონაწილე ამერიკელი პიონერრები

ახალ სისტემაზე გადასვლისას შესაძლებელია თანხების მიღება ადგილებიდან ჩვენს ორგანიზაციაში შესუსტდეს პირველ ხანებში.

ეს აიხსნება იმით, რომ უჯრედები არ არიან სათანადოთ მომზადებულნი, ვერ შეითვისეს კარგად ახალი სისტემა, რამაც გამოიწვია მთელი მუშაობის შეჩერება. — ასეთი მდგომარეობა, რომ არ გაგრძელდეს საჭიროა ეხლავე მივიღოთ ამის საწინააღმდეგოთ ზომები. ამისათვის კი უნდა მოეწყოს ყველა რაიკომების, უჯრედების მდივნებისა და აქტივის კრება, სადაც განსახილველათ დასმული იქნას საკითხი „თ ა ნ ხ ე ბ ი ს ი ნ კ ა ს ა ც ი ა ფ ო ს ტ ი ს ს ა მ უ ა ლ ე ბ ი თ“. ამისათვის საჭიროა დაიგზავნოს ინსტრუქტორები, რომლებიც ჩაატარებენ ამ თათბირებს. ამავე დროს უნდა დაწესდეს ფხიზელი კონტროლი ქვემდგომ ორგანიზაციების მიმართ ახალ სისტემის სისწორით ცხოვრებაში გასატარებლათ.

ვლ. აბზიანიძე.



მ ე ჯ ი ნ ი ბ ე

I

შებინდებისას ეზოში შემოვიდა ჟანდარმი. ჯერ ის მოელაპარაკა მმართველს, შემდეგ ორივენი გაემართენ საჯინიბოსაკენ, სადაც მეჯინიბე დანიელ კერესტენი უვლიდა ცხენებს.

— აქ მოდი შენ კერესტენ! — შესძახა მას მმრაველმა.

კარების იქით მოისმა ფეხის ხმა. გამოჩნდა მეჯინიბე. ჟანდარმის დანახვისთანავე ის შესდგა და შეშინებული თვალები მიაპყრო თოფის მოელვარე ლულას.

ლულას.

— თქვენ ჩემთან წამოხვალთ, — მიმართა ჟანდარმმა.

— მე?

— დიახ თქვენ, ჩქარა!

მოხუცმა მეჯინიბემ გამოცდილებით იცოდა, რომ ჟანდარმთან ლაპარაკი უშედეგო იქნებოდა. მან უსიტყვოდ აიღო თავისი გაცვეთილი, ძველი ქურქი, ჩექმის ყელში ჩაირჭო ყალიონი და წასასვლელად მოემზადა.

— რა ეშველება პირუტყვს? — ჯერ საჭმელი კი არ დამიყრია, — დაატანა მან.

— არა უშავს რა, — მოვახერხებთ რასმე, — მიუგო მმართველმა.

მორჩილებით შეიშმუშნა მოხუცი ჟანდარმის წინაშე. ორივენი სდუმდენ. ქოხის წინ მსხდომმა გლეხებმა შეიშნებული თვალი გააყოლეს მიმავალთ. მგზავრობას დიდი ხანი არ დასჭირვებია ვინაიდან ჟანდარმთა სადარაჯო იქვე იყო.

ჟანდარმთა ვახმისტრი ვახშმად იჯდა და ახლად მოსულები კარებთან ალოდინა ვიდრე მორჩებოდა ვახშამს. შემდეგ გამოვიდა ის, ნელი ნაბიჯით მიუახლოვდა მეჯინიბეს მიაფურთხა ჭალარა წვერ-ულვაშზე და უბრძანა ჟანდარმს:

— ჩააგდეთ!

II

მეორე დილით, საათის რვაზე დანიელი მოიყვანეს დაკითხვაზე. წვერ-ულვაში სავსე ჰქონდა თივით, თან ფეხები სტკიოდა საშინლად, ძლივს ღა იდგა.

— სახელი? — შეეკითხა ვახმისტრი.

— დანიელ კერესტენი!

— 56 წლისა, მეჯინიბე ლიხშტეინის მამულში, ცოლიანი, უმიწაწყლო, არა?

— უმიწაწყლო, დიახ, — გაიმეორა მოხუცმა.

— ბავშები გყავთ?

— ექვსი მყავდა, სამი გარდაიცვალა, ორი მუშაობს მეზობლად — მამულში, ერთი კი, უგზო-უკვლოდ დაიკარგა.

— სად დაიკარგა?

— 1916 წ. ტყვედ ჩაუვარდა რუსებს. უკანასკნელი წერილი მომწერა 1918 წ. მას შემდეგ არაფერი ვიცით მის შესახებ.

— ვინ გითხრა, რომ ის გარდაიცვალა?

— არავის არ უთქვამს, მაგრამ თუ კი პირმშო შვილი ცხრა წლის განმავლობაში თავის მდგომარეობის შესახებ არაფერს სწერს მშობლებს, ცხადია გარდაცვლილია. განა ჩვენები ცოტანი დაიღუპენ ციმბირში?

— როდის მიიღეთ თქვენ მისგან უკანასკნელი წერილი.. ან, მოგონებაზე, ერთი მითხარით რა ქვია თქვენს შვილს?..

— დავითი... 1918 წ. გამოგზავნა უკანასკნელი ღია ბარათი.

ჟანდარმთა ვახმისტრი ადგა, მიუახლოვდა დანიელს, მრისხანედ ჩაჰხედა თვალებში და ერთი მაგარი სილაც აჭამა.

— გაიმეორე, როდის მიიღე მისგან უკანასკნელი წერილი?..

მოხუცმა მორჩილების ნიშნად ქედი მოიხარა, თვალები დაჰხარა, გახურებულ ლოყაზე მიიფარა დასვრილი და დაკორძებული ხელი და გაიმეორა:

— 1918 წელს.

— არ გაბედო ტყუილის თქმა! შენ მას შემდეგაც ბევრჯერ მიგიღია მისგან წერილები.

დანიელი კარგაა ხანს იდგა არეული და გამოურკვეველი. შემდეგ კალთით მოიწმინდა ასისხლიანებული ცხვირი და კიდევ დაატანა:

— 1918 წ. იყო უკანასკნელი წერილი. ამას თქვენ ყველა დაგიდასტურებს, ვინაიდან ფოსტას წერილები ყოველთვის კანტორაში მოაქვს.

ვახმისტრმა დარაჯს გადახედა მრისხანედ, პაპიროს მოუკიდა და ფანჯარაში გააბოლა.

— ამრიგად შენ წერილები არ მიგიღია? — წარმოსთქვა მან და წერა დაიწყო, — მაშ შენ არ იცი რა ფრონველიც ბრძანდება შენი შვილი?

— არაფერი არ ვიცი მის შესახებ!

— არც იმის შესახებ, რომ ის ცოცხალია?..

— არა!

— მაშ კარგი, გამოვარკვევთ! ჯერ მოაწერე ამ ოქმზე!

— წერა არ ვიცი!

— მაშ სამი ჯვარი მაინც დაუსვი შე პირუტყვო, აი, აქა.

III

სალამოს ჟამს მოხუცი გაანთავისუფლეს. მძიმე ფიქრებში გართული გაეშურა შინისკენ... გზაში ის ვერ ამჩნევდა თავის მეზობლებს, რომლებიც შეშინებული თვალებით ქურდულად შესცქეროდენ მის დალურჯებულ სახეს. ქალებმა, რომლებიც დაფუსფუსებდენ სახლის წინ, ვერ გაბედეს მისი დაძახება. იმათ იცოდენ, რომ მოხუცი ეხლა მოდიოდა ჟანდარმთა სადარაჯოდან და არჩიეს არ ჩარეულიყვენ მის საქმეში.

როცა შინ შემოვიდა ცოლი ფეჩთან იჯდა და კარტოფილს ფცქვნიდა.

— რა უნდოდათ?, — შეეკითხა ქმარს.

— დამკითხეს დავითის შესახებ. მე ვუთხარი, რომ ომის შემდეგ არაფერს მწერს მეთქი; ვახმისტრმა არ დაიჯერა, მითხრა მატყუეფო, ის შემდეგშიაც გწერდა წერილებსო სთქვა. უკაცრავათ, მე უკეთ ვიცი მეთქი ვუთხარი: 1918 წ. შემდეგ ერთი სტიქონიც არ მოუწერია... თუ ცოცხალია, ეტყობა, ჩვენ უკვე აღარ ვახსოვართ მეთქი...

დედაბერმა კარტოფილით სავსე ქოთანი ფანჯარაზე ჩამოსდო, მობრუნდა და განაგრძო:

— დღეს აქ ახალგაზრდა ჟანდარმი იყო, სუყველაფერი გადმოალაგა, ოთახში, ქუჩაში, ასე გაშინჯე თავლაშიაც კი იყო... რატომ ხარ შენ ასისხლიანებული?

— ვახმისტრმა მცემა.

მოხუცმა საჩქაროდ ისაუზმა და ისევ საჯინიბეში წავიდა.

IV

გავიდა თვეზე მეტი. ჟანდარმი ისევ გამოცხადდა.

— თქვენ ქალაქში უნდა წამოხვიდეთ, გამომძიებელთან, — სთქვა მან.

მოხუცმა ისევ მოიგდო მხარზე თავის ძველი ქურქი. ყებელით ერთიმეორეს მიაკრა ჩექმები და მხარზე გადაიგდო.

— ასე უფრო ადვილად წავალ, — უთხრა მან ჟანდარმს.

ამის შემდეგ ის მივიდა ცოლთან გამოახვევინა ბურა ცოტა შეჭამადი და დაემშვიდობა მას.

დედაბერი იდგა ზღურბლთან და შესცქეროდა მიმავალთ. მას სიბრაზისაგან ტუჩები აუტოკდა და ის იყო უნდა შემობრუნებულიყო ქუჩნისკენ წასასვლელად, ამ დროს მას მოაძახა ქმარმა:

კარებთან შეეფეთა ჟანდარმი

— თვალყური გეჭიროს, კარგად მოუარე პირუტყვს!

ქალაქამდე ექვსიოდე კილომეტრი იყო, გზა კი კარგად მოკენჭილი, იდგა გაზაფხულის მშვენიერი, მზით გამთბარი დღე, ირგვლივ გუნდ-გუნდებათ დაფრინავდენ და ჟრიამულობდენ ათასგვარი ჩიტები.

დანიელი ნელი ნაბიჯით წინ მიუძღოდა ჟანდარმს, ის დროგამოშვებით ხვდებოდა გზაში თავის ნაცნობ გლეხებს და სალამს აძლევდა მათ. ის სულ იმის ფიქრში იყო, თუ რა ბედი მოელოდა ქალაქში; ალბათ გამომძიებელიც ძალემსო, ფიქრობდა ის გზადაგზა. რას ნიშნავს მთელი ეს ისტორია? რა უნდათ ჩემგან, რა?..

— მე თვითონ ვიყავი იმ ციმბირში, — დაილაპარაკა ბოგორლაც ჟანდარმმა. — იქიდან წერილებს არ იწერებიან... ყველანი კომუნისტები და წითლები არიან!

— ულმერთოები, ყაჩაღები!

— ყაჩაღები? ეხლა კი გასაგებია, თუ რატომ არაფერს იწერება!

— ამბობენ, რომ ის გწერდათ თქვენ წერილებს; თქვენ კი მალავთ იმის შიშით, რომ არაფერში გაგრიონ!

— გამრიონ, — რაში?

— თქვენი შვილის საქმეში.

მათ წინ ვილაც მხედარი შემოხვდა. ჟანდარმმა პატაკი მისცა, მანაც საჩქაროდ უპასუხა და მოაძახა:

— სალამი გადაეცი დავითს! ელოდეს ჩემგან ბაწარს საჩუქრად!

ეს იყო მემამულეს შვილი.

— მაინც რა საქმე აქვს ასეთი ჩემს შვილს?

ჟანდარმა შაშხანა მოიმარჯვა.

— ისა, რომ, ის კომუნისტია. ის დაბრუნდა იმისათვის, რომ ხალხი ააჯანყოს... ჩემი გულწრფელი რჩევაა მოხუცო, თუ გსურთ იცხოვროთ მშვიდობიანად, სთქვით ყველაფერი რაც კი იცით, ნურაფერს დამალავთ... ამხილეთ ყველაფერი, რასაც გწერდათ...

მოხუცს თვალთ დაუბნელდა.

— მაშ ის იყო აქ?.. აქ?.. სადღაა ეხლა?..

— საპატიმროშია, — უპასუხა ჟანდარმმა.

მოხუცმა მეჯინიბემ მძიმედ ამოისუნთქა და ხმა გაკმიდა. შემდეგ დაიწყო რაღაც გაურკვეველი ჩურჩული თავისთვის.

— დაბრუნდა სამშობლოში და აღარც კი მოიკითხა მოხუცი მშობლები, დაავიწყდა მშობელი დედა... მოდი და იჯექი მისთვის საპატიმროში, გცემონ, გაწამონ.. დედაბერი აკვდება პირუტყვის მოვლა-პატრონობას, ბატონი მმართველი კი, კმაყოფილი არაა. ან რაში ენაღვლება მოხუცი ცოლქმარი...

უკვე შუა დღემ მოატანა, როცა ისინი სასამართლოში მივიდენ. გამხმარი, უფერული, თვალგამშრალი გამომძიებელი მყისვე შეუდგა „საქმეს". ჟანდარმთა ვახმისტრსავით ამანაც დაიწყო ყოველგვარი წვრილმანების გამოკითხვა. მოხუც მეჯინიბეს აძლევდა შეკითხვებს შვილის შესახებ და ცდილობდა რაიმე ხელმოსაკიდი წამოსცდენოდა მას. მიუხედავათ ამისა მოხუცის პასუხი მაინც ერთი და იგივე იყო.

— 1918 წ. იყო უკანასკნელი წერილი თქვენო უმალლესობავ, მას შემდეგ კი, ჩვენ არაფერი ვიცით მის შესახებ.

— წყეულო, გლეხუმავ! შენ მაინც თუთიყუშივით ერთსა და იმავეს იმეორებ!

— სხვანაირად რა შემიძლია ვსთქვა იმ შვილზე, რომლის შესახებ არა ვიცი რა... რა ხანია არავითარი ცნობა არ მომსვლია... არ ვიცი მკვდარია, თუ ცოცხალი?! — ამ სიტყვებზე მოხუცი კერესტენი შემოტრიალდა და ჩაიჩერდა უკან მდგომ ჟანდარმს, თითქოს თანაგრძნობის გამომჟღავნებას ელის მისგანო.

— თქვენი შვილი, — განაგრძო გამომძიებელმა, — დაეხეტებოდა ახლო-მახლო ოლქებში, ის იმალებოდა აქ და ქადაგებდა კომუნიზმს.

— არ მინახავს მე ის... არსად არ შემხვედრია, — მიუგო კერესტენმა.

გამომძიებელმა ბრძანება გასცა შემოეყვანათ პატიმარი და პირისპირ წაეყენებიათ მამა და შვილი.

ოთახში შემოიყვანეს მაღალი, ქერა, წვერ-ულვაშ მოშვებული კარგად ჩაცმული, ჩაფსკვნილი მამაკაცი. ის 30 წ., თუ იქნებოდა. მოხუცი კერესტინი ამ კაცს პირველად ჰხედავდა თავის სიცოცხლეში.

პატიმარმა მშვიდათ მიმოავლო თვალები ირგვლივ. მახ წუთით შეაჩერა თვალები მოხუცზე, შემდეგ ისევ გამომძიებელს მიუბრუნდა.

გამომძიებელმა იკითხა:

— კერესტენ, სცნობთ თუ არა თქვენ ამ კაცს?

პატიმარმა ისევ გადაჰხედა მოხუცს და უარყოფითად გაიქნია თავი.

— არ ვიცნობ. ამასთანავე ვიმეორებ, რომ ჩემი გვარია კერესტელი და არა კერესტენი.

— კარგი! სახელი თქვენი?

— იმპრე!

მოხუცმა ხელები ააპყრო და შესძახა:

— ჩემს შვილს კი დავითი ჰქვია, ამავე დროს ის სრულიად არა ჰგავს ამას... სრულიად... არავითარი მსგავსება არ არის ამათ შორის...

— ნუ მიშლით! — დაბადების ადგილი?

— პეშ!

— ვის იცნობთ თქვენ იქ? თქვენი გვარი იქ ცნობილია?

— პირველ დაკითხვის დროს მე ვუჩვენებდი, რომ მამა ჩემი იყო სამთო მუშა პეშის რაიონში; იქვე ვუჩვენე, რომ მამა გადამეცვალა ჯერ კიდევ ბავშობისას, მე კი ვიზრდებოდი ქ. ბუდაპეშტის თავშესაფარში.

მიაყარეს შეკითხვები და ლანძღვა-გინება პატიმარს. გამომძიებელი მუშტებს ურტყამდა მაგიდაზე, ხელში სა-



დანიელი ფეხდაფეხ მიჰყვებოდა ჟანდარმებს...

ხახავს ატრიალებდა, მაგრამ პატიმარი მაგრად იდგა, უშიშრად გრძნობდა თავს და აღარ ნებდებოდა:

— მე არ ვიცნობ ამ მოხუცს და არ მინდა სრულიად უდანაშაულო ადამიანი გავრთო ჩემს ისტორიაში. მე არ ვიცნობ მას, ის არ არის ჩემი მამა.

მოხუცს გულში უხაროდა.

— რა კარგი ვაჟკაცია! აი პატიოსანი და ზედმიწევნით გულკეთილი ახალგაზრდა კაცი.

— მაწ დამაცადეთ, მე გამოგიყვანთ თქვენ სწორ გზაზე! — სთქვა გამომძიებელმა და იქვე მდგომთ ანიშნა გაეყვანათ პატიმარი.

მოხუცი ცნობისმოყვარე თვალებით შესცქეროდა გამომძიებელს. ეს უკანასკნელი კი, კბილებით ტუჩებით იკვნეტდა.

— ასე, ბებერო გაიძვერავ, თქვენ არ გინდათ გამოტყდეთ, არა!?

— რაში უნდა გამოგიტყდეთ. ეს არ არის ჩემი შვილი. მე მას პირველად ვხედავ ჩემს სიცოცხლეში.

საღამოს მოვიდა ორი გაიძვერა ჯაშუში, წააავლეს მოხუცს ხელი და პოლიციის სასამართლოში წაიყვანეს. აქ ისევ დაიწყეს ჩვენების ჩამორთმევა და უწყალოდ სცემეს.

მოხუცი სულ ასისხლიანებული იყო. ცალ თვალს ვერ ახელდა. თავში კი ტვინი ერეოდა და ურო დარტყმული კამეჩივით ბარბაცებდა.

— გამოტყდები, თუ არა ბოლოს და ბოლოს შე საძაგელო ქმნილებავ?

მოხუცმა ისევ არეულად დაიწყო:

— რაში უნდა გამოვტყდე... რაში, თქვენო კეთილშობილებავ!.. ის არ არის ჩემი შვილი...

მეჯინიბე ორი დღე ჰყავდათ პოლიციის სამმართველოში...

— დაიკარგე აქედან ბებერო გაიძვერავ! მხოლოდ ფრთხილად იყავი, თორემ ჩვენ ისევ მოვაღწევთ შენამდე...

VI

იმ დღიდან დანიელ კერესტენი რაღაცნაირად გამოიცვალა.

— ცხადია, ის არაა ჩვენი შვილი, — ეუბნებოდა ის ცოლს, — მაგრამ რაღაც ნათესაური მაინც აუცილებლად არის მასში. ნეტავ ერთი გენახა, ან ყური დაგეგდო მაინც, თუ როგორ ცდილობდა ის იმ საშინელი ისტორიიდან ჩემს დახსნას.

— შეიძლება მართლაც ჩვენი შვილია?... ალბათ ვერ გამოიცანი!

— არა! ნამდვილად ვიცი, რომ ჩვენი შვილი არ არის!

— როგორ მოგმართავდა ხოლმე? მამას არ გეძახდა?

— მას სრულიად არ ულაპარაკნია ჩემთან, ხმაც არ გაუცია. ის მოსამართლეს სულ იმას უმტკიცებდაა, რომ მე მისი მამა არა ვარ. „მე არ ვიცნობ ამ მოხუცს“-ო, — ეუბნებოდა. ერთი ყური დაგეგდო მაინც რამდენი სითბო და ადამიანისადმი სიყვარული გამოსჭვიოდა ამ სიტყვებში.

— „არ ვიცნობ ამ მოხუცს“, — გაიმეორა ცოლმა და ტირილი დაიწყო, იმიტომ, რომ მას მოაგონდა დაკარგული შვილი და თავისი აწმყო თვალწინ ნათლად გადაეშალა.

ოთახში შემოვიდა ახალგაზრდა კაცი..

დადგა ზამთარი. დაიწყო გრძელი ღამეები; ბევრი საფიქრებელი ჰქონდათ, უფრო მეტი იყო ლაპარაკი და მითქმა-მოთქმა იმ ვილაც სხვისი „შვილის“ შესახებ. ერთხელ, ერთმა ახალგაზრდა გლეხმა სთქვა, რომ შვილი ყაჩაღი კი არ იყო. კომუნისტები, პირიქით, ღარიბ-ღატაკთა განსათავისუფლებლად იბრძვიანო.

იმავე ხანებში მოხუც მეჯინიბეს კვლავ გაამოუძახეს გამომძიებელთან. ეხლა ის ცოტა ხნით დააკავეს. როცა შინ დაბრუნდა, ის ავიდა ღუმელზე — ცოლთან და დაიწყო:

— ვნახე ის. ვესაუბრე, მოწმეების ოთახში.

— ნუ თუ მართლა ელაპარაკე? — ჩურჩულით შეეკითხა ცოლი!

— იცი რა სთქვა მან? „გახსოვდეს მოხუცო, მე ზიანი არ მინდა მივაყენო ღარიბებს, მე ამისათვის კი არ ჩამსვეს საპატიმროში“-ო. მე ვუპასუხე: „რას ბრძანებ ხელმწიფე! მე არასოდეს არ გთვლიდით თქვენ ცუდ კაცად“, შეთქი. მან მითხრა: „მე ხელმწიფე არა ვარ, დამიძახეთ უბრალოდ — შვილო!“ ამ სიტყვებზე დარაჯი მოვიდა და ჩვენ ორივენი გავჩუმდით. ამის შემდეგ ის სადღაც წაიყვანეს. წასვლისას ღიმილით გადმომხედა, თავი დამიქნია და წავიდა.

შუაღამემდე არ ეძინათ მოხუც ცოლქმარს. სულ უცნობის შესახებ ლაპარაკობდენ.

მიდიოდა დღეები. დადგა გაზაფხული. ერთხელ ერთმა თანამოსამსახურემ უთხრა დანიელს:

— ხვალ გაასამართლებენ შენს „შვილს“.

— შენ საიდან იცი?

— გაზეთში სწერია!

იმავე სალამოს დანიელს საიდუმლო საუბარი ჰქონდა თავის ცოლთან. ამის შემდეგ ის მივიდა მემამულის მმართველთან და მეორე დღის შვებულება აიღო.

— ცოლი მინდა ხვალ წავიყვანო ქალაქში — ექიმებთან, — იცრუა მოხუცმა.

მეორე დილით ადრე ორივენი გაუდგენ გზას ქალაქისაკენ.

VII

სასამართლოს შენობა სავსე იყო ხალხით. კერესტენი და მისი ცოლი იჯდენ ჩუმად, უსიტყვოდ. ისინი მიკოობოდენ მხრებით ერთი მეორეს და ხადაზმით გადაუჩურჩულებდენ ხოლმე ერთიმეორეს, რაღაც გაუგებარ სიტყვებს. საბრალო დედაბერს აკანკალებულ თითებში ძლივს ეჭირა ცხვირსახოცი, მოხუცი მეჯინიბე კი თვალს არ აშორებდა „შვილს".

სასამართლოს პროცესიდან მათ ვერაფერი გამოიტანეს. გამოსული ორატორები მეტად გაუგებარ სიტყვებს ხმარობდენ, მოხუცებს იმათი არა გაეგებოდათ რა სამაგიეროთ ბევრი რამ გაიგეს, როცა „შვილმა" ილაპარაკა.

— ჩვენ მხოლოდ ერთი რამ გვინდა, — ამბობდა ის, — ჩვენ გვინდა ისეთი სახელმწიფო და ისეთი წყობილება, სადაც სახელმწიფოს მართვა-გამგეობის მესაჭე იქნება მშრომელი ხალხი — მუშები და გლეხები. ეს იმიტომ, რომ არავითარი განსხვავება არ არის მუშებსა და მოჯამაგირეებს შორის გრაფების მამულებში: ერთიც და მეორეც მონები არიან მდიდრების. ჩვენ კარგად ვიცით, რომ არც ღვდელი და არც კანონი მათ არ გაუწევს დახმარებას.



ქარის წისქვილი...

მისთვის ხელი არ შეუშლიათ, ის განუწყვეტლივ ლაპარაკობდა. სამაგიეროთ დანიელი კარგად ამჩნევდა თუ რა ზიზღით წესცქეროდენ მოლაპარაკეს მოსამართლენი, ჟანდარმები და მწერლები. მოხუცი კი მოუთმენლად შესცქეროდა „შვილს".

— თქვენი ნებაა, შეგიძლიათ დაგვაპატიმროთ, საპატიმროებში ჩაგვყაროთ, ამოგვჟლიტოთ, მაგრამ ჩვენ ვიპოვეთ სწორი და უტყუარი გზა, რომელსაც ჩვენ გავყვებით ბოლომდე. ეს გზა მიემართება თქვენს მიერ შოტყუებულ გაძვალტყავებულ მუშებისა და გლეხებისაკენ. აქ უკანასკნელებმაც იპოვეს ჩვენსკენ მომავალი გზა. ნუ ეყრდნობით ხალხის სიბეჩავეს, მის სიბნელესა და უვიცობას — იმას სულ ჩქარა მოეღება ბოლო. იმედი ნუ გაქვთ ჟანდარმებისა და საპატიმროების. საკმარისია ერთი ნაპერწკალი, მცირედი ნაღვერდალი — რევოლიუციის ხანძარი იფეთქებს და — მორჩა. ყველაფერს დასასრული მიეცემა.

„შვილს" მიუსაჯეს 15 წ. კატორღა.

როცა მოხუცები შინისკენ ბრუნდებოდენ, ქალაქის გარეუბანში ნეხვდენ მიწის მთხრელ გლეხებს. ისინი ისხდენ გზის გასწვრივ თხრილის ნაპირთან და საჭმელს შეექცეოდენ. დანიელი მიუჯდა მათ და უთხრა:

— ცხელი ზაფხული იქნება!

იქვე მჯდომმა, ქალამნიანმა, ქერა გლეხმა უპასუხა:

— ზოგისთვის თბილი, ზოგისთვის კი ძალიან ცხელი!

— აი, ეხლა მოუსმინე ერთ კაცს, რომელსაც უპოვია სწორი გზა ხალხისაკენ. იცით თუ არა რაიმე თქენ მეგობრებო ამ საქმის შესახებ?

ორმა, თუ სამმა თავი წამოყო და გადაჰხედეს დანიელს.

ქალამნიანი გლეხი წამოდგა, მიუახლოვდა დანიელს და თვალებში ჩააცქერდა.

— ასეთ საქმეების შესახებ ჩუმად უნდა ვილაპარაკოთ ხოლმე.

ის მიუჯდა დანიელს, ჩიბუხში თუთუნი ჩაჰყარა, თან ნელა წასჩურჩულა ყურში:

— თუ კი გინდა მოვილაპარაკოთ, შაბათ სალამოს ჩამოდი ქარის წისქვილთან და იკითხე მეეტლე კონტუ...

გლეხები წამოდგენ და წავიდენ — თავთავიანთ გზაზე. ქერაც თან მიჰყვა მათ. ამ უკანასკნელს არ გადაედგა რამდენიმე ნაბიჯი, რომ მოხუცმა მეჯინიბემ მიაძახა:

— მაშ, ვიკითხო კონტუ, არა?

— დიახ, კონტუ!

— კარგი... ძალიან კარგი!

3· ელ — ლი.

მონასტრის საპატიმროში

(პოლიტ-ემიგრანტი ქალის მოგონებიდან)

ეს იყო 1927 წ.

მთელს სამხრეთ-სლავიაში მძვინვარებდა თეთრი ტერორი. ბევრი ამხანაგი ჩავარდა საპატიმროში. მეც დამაპატიმრეს. ხელისუფლება არც დაპატიმრების შემდეგ მსტოვებდა „უყურადღებოთ". ყოველ კვირაში ახალ-ახალ საპატიმროებში გადავყავდით. ძალიან ბევრი სიმწარე მახსოვს ჟანდარმებისაგან.

ერთხელ მე გადამიყვანეს მონასტრის საპატიმროში.

როცა მონასტრის კედელთა შორის მოვხდი და დავინახე მონაზნები და ბერები, გულზე მომეშვა, ვფიქრობდი ხანგრძლივი წვალების შემდეგ აქ მაინც დავისვენებდი.

მოხდა სრულიად წინააღმდეგ.

ეს ამბავი დაიწყო ჯვარზე ძთხვევით. შეეედი თუ არა მონასტერში ჩემკენ გამოემართენ ბერ-მონაზნები; ყველას თითო ჯვარი ეჭირა ხელში და მაიძულებდენ მეკოცნა ის

როცა მე გადავკოცნე ათიოდე ჯვარი მომიახლოვდა ერთი მონაზონი, წამავლო ხელი და საიდუმლო საკანში წამიყვანა

ბნელსა და ნესტიან სარდაფში ისეთი საშინელი სუნი იდგა, რომ სუნთქვის მობრუნებაც კი აღარ შეიძლებოდა.

დამსტოვეს მარტო.

ნახევარი საათის შემდეგ ჩემთან გამოცხადდა ორი მონაზონი და მიბრძანეს ყველაფერი გამეხადა რაც კი რამ მეცვა ტანზე, სამაგიეროთ გადმომიგდეს ძველის-ძველი დაკონკილი ტანისამოსი.

— მაპატიეთ, ეს ჯერ ჩემთვის არცერთ საპატიმროში არ უქნიათ, როგორ შეიძლება ასეთ სიცივეში მარტო ამ დაკონკილი ხალათის ამარა ჯდომა, — მივმართე მე.

— შენ ღვთის ადამიანი ხარ, — მომიგო ერთმა იმათგანმა, --- ეს ხალათი უნდა ატარო... ღმერთს არ უყვარს ის ადამიანი, რომელიც კარგ ჩაცმა-დახურვაზე ოცნებობს.

— შენ ძალიან ბევრი ცოდვები გაქვს, — მომმართა მეორემ, — უნდა მოინანიო ის, ამიტომ მოგისაჯეს ოცი წელიწადი. შენ უნდა განიწმინდო ყოველგვარი ცოდვებისაგან, წინააღმდეგ შემთხვევაში ვერ მოხვდები სამოთხეში.

საშინლად ვღელავდი, პროტესტებს ვაცხადებდი და ვაგვიანებდი გახდას. მონაზონი მიმიხვდა, ფეხები დამიბრახუნა და შემყვირა:

— შენ უნდა დაგვმორჩილდე. ჩვენ ვართ იესო მაცხოვრის წარმომადგენლები. ყოვალგვარი ჩვენი ნებასურვილები ასრულებული უნდა იქნეს.

-— ჩქარა გაიხადე და ჩაგვაბარე ფეხსაცმელები თორემ ეხლავე ჩაფრებს დავუძახებთ, — მომიბრუნდა მეორე

ამრიგად სუყველაფერი გამხადეს, ჩამაცვეს დახეულ-დაკონკილი ხალათი და დამსტოვეს საკანში.

რამდენიმე ხნის შემდეგ ისევ გაიღო კარი. მონაზონმა შემომიტანა ერთი ტომარა ბატის ფრთა, რომელიც უნდა დამერჩია.

ასე გავატარე თვენახევარი.

დღეში მხოლოდ ერთხელ გამოიღებოდა სარკმელი, საიდანაც თავს შემოჰყოფდა მონაზონი და შემომიტანდა საჭმელს.

— „დიდია უფალი", — წაიბუტბუტებდა იგი და გაშორდებოდა იქაურობას.

მე მხოლოდ ამ სიტყვებს ვისმენდი აქ. სხვა ტანჯვას ერთვოდა სიმშილობით გამოწვეული მწარე განცდები. დღეში მხოლოდ 200 გრამ პურსა და ცოტა ბორშს მაძლევდენ. გასასეირნებლათ სრულიათ არ მიშვებდენ. ჩემს საკანში სინათლე არსაიდან არ ატანდა.

1929 წ. დეკემბრის — 19, ბერლინში მოეწყო უმუშევართა უდიდესი დემონსტრაცია. ქუჩებში გამოსულ დემონსტრანტებს დაერივნენ პოლიციელები. შეტაკების დროს დაიჭრა რამდენიმე მუშა. სურათზე: დემონსტრანტები პლაკატებით: **„ჩვენ მოვითხოვთ სამუშაოსა და პურს"!**

თვენახევრის შემდეგ მომაშორეს ამ ჯოჯოხეთს, გადამიყვანეს უფრო სინათლიან ოთახში, სადაც კიდევ იჯდა ორი სხვა ქალი. მე ძალიან გამიხარდა, გამოვცოცხლდი და საუბარი დავუწყე ჩემს ახალ ამხანაგებს, მაგრამ იმათ გამაფრთხილეს, მითხრეს, აქ ლაპარაკი აკრძალულიაო. ყველა ისინი ერთ ადგილას ისხდენ გამუდმებით და ხუცების ანაფორას ქარგავდენ. მათ შორის იჯდა ერთი ზეღაბხედველი მონაზონი, რომელიც სასტიკ თვალყურს აღევნებდა მათ მოქმედებას და მუშაობას. მან გადმომცა საბუშაო და ამიკრძალა საუბარი.

მიუხედავათ იმისა, რომ მე ძალიან ჩქარა და სუფთად ვასრულებდი ხელსაქმეს, საამისოთ არაფერს არ მაძლევდენ. წინანდებურათ, ისევ დახეულ ხალათში დავდიოდი. საჭმელს ისევ ძველებურად გვაძლევდენ. რამდენიმე თვის შემდეგ მომცეს მე ძველი სანდლები და კაბა. დღეში რამდენიმეჯერ დავყავდით ეკლესიაში. მონაზონს ძალიან მოსწონდა ჩემი ნამუშევარი. სულ მე მაქებდა მღვდელთან, მაგრამ ეს სრულიად არ შველოდა საქმეს. მე ისევ იმავე აუტანელ მდგომარეობაში ვიყავი. რამდენიმე თვეში სრულიად გამოვიცვალე; ისე გავხდი, რომ ძნელი საცნობი ვიყავი.

ჩემს მეზობლათ, საკანში, იხოცებოდენ პატიმარი ქალები.

მონაზნები მოჰყვებოდენ ცხედრის წინაშე ლოცვა-კურთხევას, იცინოდენ და ამბობდენ, სამოთხეში ვისტუმრებთ მიცვალებულსაო.

დადგა სიცოცხლითა და ხალისით ავსილი გაზაფხული; მინდოდა სუფთა ჰაერზე გავლა, მაგრამ ამის ნებას არ მაძლევდენ მონაზნები. ერთხელ ჩვენ ეზოში გამოგვიშვეს ნახევარი საათით. ეზოში, მინდორზე იდგა წყლით სავსე დიდი გობი, რომელშიაც ჭყუპალაობდენ იხვები. მე ეს

ძალიან გაბიხარდა, აღტაცებაში მოიყვანა ახლად გამოჩეკილი იხვების დანახვამ, მიეირბინე გობთან, დავიხარე და ის იყო უნდა ამეყვანა ერთი, რომ მომესმა მონაზონის მრისხანე ყვირილი:

— რას სჩადიხარ ძაღლო? როგორ ბედავ შენი ცოდვილი ხელით შეეხო ჩვენს იხვებს? არ იცი, რომ ამისთვის დაგსჯის უფალი. ეხლავე დაგამწყვდევ საკანშიო.

ამ მონაზონს მარჯვენა ხელში კომბალი ეჭირა, მარცხენაში კი — ჯვარი.

რამდენიმე ნაბიჯით უკან დავიხიე მის კომბლისგან და შევეკითხე:

— რატომ ეძახი ჩემს ხელებს ცოდვილს, აკი რამდენიმე წუთის წინათ აქებდით მას ხუცესის წინაშე?!.

მან პასუხი არ გამცა, ისე მოიმარჯვა ეს უშველებელი ჯოხი და ფეხდაფეხ დამედევნა.

— შენ უფლება არ გაქვს მელაპარაკო! შენ უნდა გაჩუმდე, წინააღმდეგ შემთხვევაში პასუხს აგებ ყოვლად უძლიერესის ღვთის წინაშე!

„ღვთის წინაშე“ ამის შესახებ არ წარვმდგარვარ, მაგრამ ამ ამბის შემდეგ მე ერთი თვის განმავლობაში შიშველ-ტიტველი ვიჯექი ცალკე საკანში. ეს მიქნეს ღვთის მოსავმა მონაზნებმა, ალბათ იმ იმედით, რომ სხვებივით მეც გავემგზავრებინეთ „სამოთხის ტურფა ბაღნარში“.

სტ. მარკოვიჩი.

სამხრეთ ნიგერიაში

ჯერ კიდევ მიწუნარებული არ იყო გაიტის ამბები, როცა მასიური ულეტა დატრიალდა სამხრეთ ნიგერიაში *) დეკემბრის 11,

სამხრეთ-ნიგერიელი ქალი

აქ დაიწყო აჯანყება ადგილობრივი მცხოვრებთა მეურნეობის ნაწარმოებზე დაბალი ფასების დაწესებისა და ახალი საგადასახადო რეფორმის შემოღების საწინააღმდეგოთ.

სამხრეთ-ნიგერიის მცხოვრებთა დიდი უმრავლესობა უმთავრესათ მისდევს სოფლის მეურნეობას; ამავე დროს ისინი ამუშავებენ კულტურულ მცენარეებს, როგროიცაა მაგალითად, შაქრის ლერწამი, კაკაო, ზეთის ხე, ბამბა და სხვ. ინგლისის ტრესტები უმნიშვნელო ფასებში იძენენ ყველაფერს ამას. მიწის დიდი ნაწილი ეკუთვნის ინგლისის კომპანიებს, რომლებიც წელიწადში იღებენ 80%-დე, ხოლო ადგილობრივ გლეხებს კი აძლევენ დღეში 30-40 კაპ. ხელფასის სახით.

ასეთი ექსპლოატაციის წყალობით აჯანყებისათვის დიდი ხნით ადრე იყო მომზადებული ნიადაგი. ინგლისის ხელისუფლების ცდა ხარკის რაოდენობის გადიდების შესახებ შეიქნა საბაბი ამ მღელვარებისა. აქვე უნდა აღვნიშნოთ ის გარემოება, რომ ამ აჯანყებაში უდიდესი აქტივობა გამოიჩინეს ქალებმა, რასაც მსხვერპლიც შეეწირა, მაგალითად, ოპობო და უოიოში მოკლულ იქნა 45 კაცი, მათ შორის — 37 ქალი.

სუდანი

ინგლისის ფოსტა-ტელეგრაფის სააგენტო — რეიტერი გასული წლის დეკემბერის 20 იუწყებოდა:

„მტრულად განწყობილ ლაფოფას ტომმა ტალოდის რაიონში (სუდანშია) აიძულა ჩვენი ჯარი დაეწყო სამხედრო ოპერაციები ამავე ტომის წინააღმდეგ. დაკემბრის 16 ინგლისის ჯარმა ადგილობრივი პოლიციის დახმარებით დააპატიმრა ტომის ბელადი. მეორე დღეს მცხოვრებლებმა სროლა აუტეხეს ჯარის ნაწილებს, მოჰკლეს ერთი ჯარისკაცი და დასჭრეს ჯგუფის მეთაური. მიღებულია სასწრაფო ზომები დამნაშავეთა შესაპყრობათ და დასასჯელათ“.

ინგლისის ე. წ. „მუშათა მთავრობის“ ამ მშრალი განცხადებით

სამხრეთ-ნიგერიელი ქალი

*) ინგლისის კოლონიაა — სამხრეთ აფრიკაში.

სუდანში მომხდარი ამბების მნიშვნელობა ერთის შეხედვით უმნიშვნელო ინციდენტათ გვეჩვენება. სინამდვილეში კი, ის რაც დეკემბრის მეორე ნახევარში სუდანში მოხდა, არის ინგლისელების პოლიტიკის შედეგი, რომელსაც ისინი სუდანში ატარებენ 1924 წლიდან. ეგვიპტესა და აბისინიას შორის მდებარე უნოყიერესი მიწა თავისი 7 მილიონი მცხოვრებით გადაქცეულია ინგლისის კოლონიათ. სუდანის ბამბის პლანტაციები, რომლებიც ირწყვება მდ. ნილოსით, ნედლეულის უდიდეს მარაგს აწვდის ინგლისის საფეიქრო მრეწველობას. იმ მიზნით, რომ ინგლისელმა კაპიტალისტებმა დაიბრუნონ ის უდიდესი თანხები, რომელიც მათ მოახმარეს სუდანში სარწყავი არხებისა და რკინის გზების გაყვანას, მათ აუტანელი გადასახადები დააწესეს ადგილობრივ მცხოვრებლებზე. სუდანში განმეორდა ისეთივი ამბები, რასაც ერთი თვის წინათ ადგილ ჰქონდა სამხრეთ-აფრიკაში, და რამდენიმე დღის უკან სამხრეთ-ნიგერიაში. ამ გარემოებამ გამოიწვია მათ წინააღმდეგ ჯარების ამოძრავება და შეტაკებები, რომელსაც აქ ჰქონდა ადგილი უკანასკნელ ხანებში.

რევოლუციური სპორტი

მუშაობა კარგად მიდის

(ქ. ფოთი)

სრული 4 წელია, მას შემდეგ, რაც ქ. ფოთის საბჭოსთან ჩამოყალიბდა რემედასის ორგანიზაცია. უნდა ითქვას, რომ გასულ წლებში მუშაობა არ იდგა სათანადო დონეზე, რაც ნაწილობრივათ უნდა მიეწეროს რემედასის იდეებისადმი უყურადღებობას. აღსანიშნავია, რომ არც წევრები იჩენდენ აქტივობას.

დღეს ეს მდგომარეობა ძირეულათ შეიცვალა. რემედასის წევრები უდიდიდესი ხალისით და ენტუზიაზმით ასრულებენ ყოველგვარ დაკისრებულ მოვალეობას.

თუ გასულ წელს ბიუროს მუშაობა მექანიკურ ხასიათს ატარებდა ახლად არჩეულმა ბიურომ წინასწარ შეიმუშავა სამოქმედო გეგმა, რომლის მიხედვით მიმდინარეობს ყოველგვარი მუშაობა.

გასულ წლებთან შედარებით წევრთა რაოდენობა საგრძნობლად გაიზარდა და მუშაობის ხარისხიც ერთიერთად გაუმჯობესებულია. წევრთა შორის საწევრო ანარიცხების აკრება ხდება სისტემატიურათ. უჯრედები საკმაო რაოდენობით ავრცელებენ რემედასის ყოველგვარ გამოცემებს.

ამხ. მიხეილ ზიმბლიცკი
რემედასის ფოთის სამაზრო კომიტეტის
პ/მგებელი მდივანი

რემედასის მეგობრები

ქ. ფოთის ათ-წლედის პირველი ჯგუფის მოწაფეები: ლ. ხამბახიძე, ფ. ქადეიშვილი და ე. ვეკუა, რომლებმაც რემედასის სასარგებლოთ შეაგროვეს ათი მანეთი

წევრები დიდის ხალისით ეტანებიან რემედასის საქ. ცეკას ორგანოს ჟურნალ „რემედას"-ს. ბიუროს დადგენილების თანახმათ არ უნდა დარჩეს რემედასის წევრი ჟურნალ „რემედას"-ის გამოწერის გარეშე.

რემედასის ორგანიზაციის ფინანსიური ლონისძიებათა გასაძლიერებლათ ორჯერ მოეწყო ფასიანი საღამო-წარმოდგენა და ამავე დროს ნაჩვენები იქნა კინო სურათი: „ქალი მთის მწვერვალიდან".

რემედასის წევრთა მასა უკლებლივ აქტიურ მონაწილეობას ღებულობს ყველა კამპანიების ჩატარებაში. რემედასის კვირეულთან დაკავშირებით იანვრის პირველს

გაიმართა გრანდიოზული საღამო, რამაც დასტოვა წმინდა მოგება 311 მან. ეს თანხა უკვე გადაიგზავნა დანიშნულებისამებრ.

ამრიგათ უნდა ითქვას, რომ გასულ წლებთან შედარებით რემედასის მუშაობა ერთი-ორათ გამოცოცხლდა, რასაც შედეგათ უნდა მოჰყვეს უფრო დიდი მიღწევები. ამის პერსპექტივები არის ფოთში. ვნახოთ როგორც გაამართლებენ მას ხელმძღვანელი ამხანაგები.

ვ. ადამია.

რემედასის რკინის გზის უჯრედი

(სადგური ფოთი)

რკინის გზის ფოთის სადგურთან რემედასის უჯრედი ჩამოყალიბდა 1924 წ. ერთი წლის შემდეგ უჯრედში ირიცხებოდა 23 წევრი, რომლებშიაც არ სწარმოებდა არავითარი აღმზრდელობითი მუშაობა, არც ორგანიზაციულ და სხვა ხასიათის მუშაობას ექცეოდა სათანადო ყურადღება.

ამხ. ვარლამ ადამია

ჩვენი ჟურნალის პ/მგებელი
კორესპონდენტი ქ. ფოთსა
და მის მაზრაში

1. ლიანდაგის დარგში — 83 წევრი. 2. წევის — 121 წევრი, 3. მოძრაობის — 119 წევრი, 4. გადამტვირთავთა და ადგილკომში — 29 წევრი. 5. საექიმო ნაწილში — 7 წევრი. 6. ტელეგრაფსა და „ზაკტპო"-ში — 21 წევრი.

გარდა ამისა უჯრედი ნაყოფიერ მუშაობას აწარმოებს მშრომელთა მოსახლეობაში, რასაც უნდა მიეწეროს ორგანიზაციაში 123 დიასახლის ქალთა გაერთიანება. ბიუროსთან არსებობს კედლის გაზეთი „მებრძოლი". აღნიშნულ გაზეთში სისტემატიურად შუქდება რემედასის, როგორც ადგილობრივი საჭირბოროტო, ისე საერთაშორისო ამოცანები.

აღასნიშნავია ის გარემოება, რომ ყოველ სპეციალურ კამპანიის ჩატარების დროს ბიურო უშვებს დამატებითი კედლის გაზეთს. ეს მაჩვენებელია იმისა, რომ უჯრედი მთელი თავისი მუშაობით ჯეროვან სიმაღლეზე სდგას.

ბიურო აგრეთვე ხელს უწყობს რემედასის საქ. ცეკას პერიოდიულ და არაპერიოდიულ გამოცემათა გავრცელებას მშრომელ მოსახლეობაში. უჯრედის მიერ დღესდღეობით თვეში ვრცელდება 300 ცალი ჟურნალი. განზრახულია 1930 წ. განმავლობაში შეგროვილი იქნეს 1.000 წლიური ხელის მომწერი ჟურნალ „რემედას"-ზე.



ამხ. ნოე ლიპარტია

რკინის გზის უფროსი მუშა, აქტიური რემედასელი, რომელმაც მცირე ხნის განმავლობაში რემედასის წევრთა რაოდენობა 23—657 აიყვანა

აღნიშნული უჯრედის სრული უმოქმედობის გამო გადარჩეული იქნა ბიუროს მთელი შემადგენლობა და თავმჯდომარეთ დაინიშნა ამხ. ნოე ლიპარტია, რომელიც დღემდე ეწევა ენერგიულ მუშაობას.

ამხ. ლიპარტიას დაუღალავი მუშაობის წყალობით უჯრედის გარშემო დღეს გაერთიანებულია 625 წევრი. მისივე უშუალო ხელმძღვანელობით შემუშავებულია ბიუროს სამუშაო გეგმა. ყოველთვიურად, სისტემატიურად იმართება ბიუროსა და რემედასის წევრთა, უპარტიო მშრომელ მოსახლეობაში გაცხოველებული ინტერნაციონალური მუშაობა.

უნდა აღინიშნოს, რომ რემედასის მუშაობაში დღეს ჩაბმულია ადგილობრივი რკინის გზელთა დიდი უმრავლესობა. წევრთა მასა რემედასის ორგანიზაციის თვისობრივად გაჯანსაღების საქმეში აქტიურად არის ჩაბმული.

რემედასის წევრები არაფერს არ იშურებენ უცხოეთის პოლიტპატიმრების მატერიალური დახმარების გასაუმჯობესებლად. ამისი დამამტკიცებელია ის გარემოება, რომ ისინი ნებაყოფლობით სწირავენ ორგანიზაციას არა მარტო თანხებს, არამედ ძვირფას ნივთებსაც კი.

უჯრედი დაყოფილია დარგების მიხედვით, სადაც წევრები გაერთიანებულნი არიან შემდეგნაირათ:

რკინის გზის მუშათა კლუბთან მოწყობილია რემედასის საუკეთესო კუთხე. უნდა აღინიშნოს, რომ გასული წლის დეკემბერში კვირეული ნაყოფიერათ იქნა ჩატარებული. ბიუროს შეემატა 65 ახალი წევრი. ამავე დროს კვირეულის განმავლობაში ჭალადიდში ჩამოყალიბდა რემედასის ახალი უჯრედი, რომელშიაც გაერთიანებულია 52 წევრი.

ჩვენმა უჯრედმა სოციალისტურ შეჯიბრებაში გამოიწვია რემედასის ოზურგეთის სამაზრო კომიტეტი, მაგრამ უკანასკნელმა გამოწვევა არ მიიღო, რაც სჩანს იქიდან, რომ მას პასუხიც არ გაუცია ამ გამოწვევაზე.

ეს მაგალითი მაჩვენებელია იმისა, რომ რემედასის ოზურგეთის სამაზრკომში ყველაფერი რიგზე არ უნდა იდგეს. ამ გარემოებას ცენტრმა უნდა მიაქციოს ყურადღება, რათა მას ერთხელ და სამუდამოთ ბოლო მოეღოს.

რაც შეეხება რკინის გზის ფოთის სადგურთან არსებულ უჯრედს ის ერთი-ორად გააძლიერებს თავის მუშაობას და სამაგალითოდ დააყენებს უცხოელი პოლიტ-პატიმრების მატერიალურად დახმარებისა და ჩვენი ქვეყნის მშრომელ მასების ინტერნაციონალურად აღზრდის საქმეს.

ა — ვ.

მექანიკური მუშაობა არ გამოდგება

(ქუთაისი)

მართალია რემედასი ნებაყოფლობითი ორგანიზაციაა, მაგრამ მისი მიზანი და ამოცანები იმდენათ რთულია, რომ ყოველი მისი წევრი ვალდებულია უდიდესი პასუხისმგებლობით და მოვალეობის სრული შეგნებით მოჰკიდოს ხელი ამ ორგანიზაციაში მუშაობას.

ყოველმა რემედასელმა ნათლათ უნდა გაითვალისწინოს, თუ რა უდიდესი მნიშვნელობა აქვს მასაში ინტერნაციონალური მუშაობის გაძლიერბას. ამ საკითხს ჩვენ უნდა მივაქციოთ ჯეროვანი ყურადღება და საჭიროა ის დადებითათ იქნეს გადაჭრილი.

ეს საკითხი, რომ მოგვარებული იყოს, დღეს ჩვენ ქვეყანაში არც ერთი პატიოსანი მშრომელი არ უნდა იდგეს რემედასის რიგების გარეშე. მაგრამ უნდა ითქვას, რომ დღეს ზოგიერთ წარმოება-დაწესებულებებში მომუშავე ამხანაგები რემედასის მუაშობას ღირსეულათ ვერ აფასებენ. ისინი არა თუ ხელს უწყობენ მასების ინტერნაციონალურად აღზრდას, პირიქით ზოგიერთ შემთხვევაში ხელსაც კი უშლიან. რემედასს არ აქცევენ ზოგიერთი ამხანაგები ჯეროვან ყურადღებას. თუ რომელიმე პატიოსანი მოქალაქე, რომელსაც მართლაც შესტკივა გული უცხოეთში მებრძოლ კლასიურ ძმებზე და მათ დასახმარებლათ გაიღებს ორიოდე გროშს, თორემ მაინც და მაინც მათ ამის შესახებ არავინ არაფერს ელაპარაკება.

მაგალითისათვის მე აქ დავასახელებ ქუთაისის ძაფ-საღებავ ფაბრიკას, სადაც წელიწადზე მეტია, რაც ჩამოყალიბებულია რემედასის უჯრედი, გამოყოფილია ბიუროდ და მისი თავმჯდომარეც, მაგრამ არაფერი არ გაკეთებულა ჯერჯერობით. 1500 მუშიდან რემედასელი 300 თუ იქნება, დანარჩენები განზე სდგანან, არავინ ფიქრობს ჩააბას ისინი რემედასის რიგებში.

რატომ ხდება ეს ასე? იქნებ იმიტომ, რომ მხოლოდ 300 კაცმა განაცხადა სურვილი რემედასის შესვლაზე?! არა, რა შუაშია აქ მასა, დამნაშავეა ადგილობრივი ადმინისტრაცია და ხელმძღვანელი ამხანაგები, უწინარეს ყოველისა კი რემედასის უჯრედი, რომელიც არაა გამორკვეული იმაში, თუ რა უნდა აკეთოს მან!

რემედასის ბიუროს ვერ მოუხერხებია წევრთა კრების მოწვევაც კი. ეს იმიტომ, რომ ადმინისტრაციას სხვადასხვა ნებაყოფლობითი ორგანიზაციებისათვის დღეებისა და საათების განაწილების დროს რემედასი გამორჩა მხედველობიდან.

ჩვენი ჟურნალის მეგობარი

ამხ. მ. ხმალაძე

ტფილისის მაუდის ქარხანა

ჩვენი ჟურნალის მეგობარი

ამხ. სარქისოვი

„26"-ის სახელობის ქარხანა

საჭიროა ასეთი მოვლენა ერთხელ და სამუდამოთ გამოსწორდეს. დროა შევიგნოთ რემედასის დანიშნულება, მისი მიზანი და ამოცანები და მას მივაქციოთ ჯეროვანი ყურადღება.

ჟ. ძ — ი.

როგორ ჩატარდა კვირეული ზუგდიდის მაზრაში

საქართველოს რემედასის ცენტრალურ კომიტეტის მიერ გამოქვეყნებული დირექტივების თანახმათ ზუგდიდის სამაზრკომმა კვირეულის ჩატარების გეგმა დაამუშავა ადგილობრივად.

რემედასის სამაზრო კომიტეტის პრეზიდიუმმა კვირეულის ჩატარებასთან დაკავშირებით გამოჰყო სპეციალური სამაზრო-საქალაქო კომისია 11 კაცის შემადგენლობით.

კომისიამ თავის სხდომაზე გამოჰყო თავმჯდომარეთ ამხ. ბ. შ ო ნ ი ა. ამავე სხდომაზე გამოყოფილი იქნა ქვეკომისიები: საორგანიზაციო და საფინანსო. აღნიშნული კომისიები, როგორც ზუგდიდში, ისე ადგილებზე ატარებდენ წინასწარ თათბირებს კვირეულის ნაყოფიერათ ჩასატარებლათ.

კვირეულის ჩატარებაში ჩაბმული იყო პარტიული, საბჭოთა და საზოგადოებრივი ორგანიზაციები; კერძოთ კი ფართედ იქნა ჩაბმული და გამოყენებული კომკავშირის აქტივი.

კვირეულის ჩატარების დროს პოლიტ-პატიმრების მატერიალური დახმარების გაძლიერებასთან ერთად მთავარი ყურადღება ექცეოდა მშრომელი მასების ინტერნაციონალურად აღზრდას და რემედასის რიგებში წევრთა ახალი კადრების ჩაბმას.

ამ მიზნით ყველგან ჩატარდა მოხსენებები. ჩამოყალიბდა 16 ახალი უჯრედი უმთავრესათ კოლმეურნეობებში, რომელიც აერთიანებს 500 ახალ წევრს.

კვირეულის ჩატარებაში მხურვალე მონაწილეობა მიიღეს ხობში — კ ლ ი მ ე ნ ტ ი ბ ე ბ ე რ ი ა მ, ქვალონში — ა. თ ი რ ქ ი ა მ და რემედასის უჯრედის მდივანმა ფაცურიამ, დარჩელისა და ჯვარის თემში კვირეულის ჩატარებას ხელმძღვანელობდა ამხ. მ ი შ ა ჯ ა ლ ა ღ ო ნ ი ა.

კვირეული დიდის წარმატებით ჩატარდა მაზრაში, მაგრამ არ შეიძლება ითქვას, რომ ზოგან ადგილი არ ჰქონოდეს დაუდევრობასა და ნაკლს. მაგალითად ჯერ-ჯერობით კვირეულის ჩატარების ანგარიში არ წარმოუდგენიათ შუა-ხორგის, ყულისკარისა და საჯიჯაოს თემკომებზე მიმაგრებულ ამხანაგებს. ამ ამხანაგებს ალბათ დაავიწყდათ დაკისრებული მოვალეობა.

ამავე დროს არ შეიძლება არ აღინიშნოს ის გარემოება, რომ პარტიული და პროფორგანიზაციები ხელს უშლიდენ კვირეულის ჩატარებას: ჩხოროწყუს, ხეთისა და წალენჯიხის თემებში. მაგალითად ჩხოროწყუს თემკომმა რემედასის მუშაობიდან კვირეულის დროს მოხსნა სპეციალურად დაყენებული ამხანაგი და სხვა სამუშაოზე გადაგზავნა, ამავე დროს თვით პარტიის სათემო კომიტეტს არაფერი გაუკეთებია რემედასის კვირეულის ჩასატარებლათ.

ხეთაში ადგილობრივი ათწლედის მასწავლებლები და მოწაფეები და რკინის გზის რემედასის უჯრედი სრულიად უმოქმედოთ შეხვდენ კვირეულს და თითქმის არაფერი გაუკეთებიათ.

რემედასის კორცხელის სათემო კომიტეტი „ახალ „მ ე თ ო დ ი თ“ მუშაობდა. მან 13 მან. შესწირა ადგილობრივ წ/კითხვის საზოგადოებას. დროა ასეთებს ბოლო მოელოს და ადგილებზე მომუშავე ამხანაგებმა ხელი შეუწყონ რემედასის იდეის პოპულიარიზაციას მასაში.

რემედასის თანხები დაუყოვნებლივ უნდა იგზავნებოდეს დანიშნულებისამებრ სათანადო ორგანოების საშუალებით და ხმარდებოდეს უცხოეთის საპყრობილეებში მოქცეულ პოლიტ-პატიმრებს და არა ადგილებზე მომუშავე სხვადასხვა ნებაყოფლობითი ორგანიზაციებს. დროა ეს ანბანური ჭეშმარიტება შეიგნოს ყველამ.

დ. ხურცილავა.

ჩ ვ ე ნ ი ჟ უ რ ნ ა ლ ი ს მ ე ბ ო ბ რ ე ბ ი

ამხ. ა. ჩადრანოვი
ტფილისის რკინის გზის საყუდი

ამხ. კოჩუაშვილი
ტფილისის რკ. გზის სახელოსნო

ამხ. კობიაშვილი
ტფილისის რკ. გზის საქონლის სადგური

მუშაობა უნდა გამოცოცხლდეს

(ქ. ტფილისი, ქალაქის რაიკომი)

პარტია და საბჭოთა ხელისუფლება ნებაყოფლობით ორგანიზატიებს სათანადო ყურადღებას აქცევს. ამ ორგანიზაციებს შორის რემედასს ჯეროვანი ადგილი უჭირავს.

სამწუხაროდ უნდა აღინიშნოს, რომ რემედასის ზოგიერთი უჯრედები არავითარ მუშაობას არ აწარმოებენ. მათი „მუშაობა" გამოიხატება მხოლოდ საწევრო ანარიცხების აკრებაში. ეს მოვლენა აიხსნება იმით, რომ უჯრედები არავითარ აღმზრდელობითი მუშაობას არა აწარმოებენ ადგილებზე. ზოგჯერ ამისი მიზეზი ის არის, რომ მათ არ მოეპოვებათ რემედასის კუთხე, სადაც უნდა სისტემატიურად სწარმოებდეს მუშაობა.

გარდა ამისა რემედასის მუშაობაში თითქმის არ არიან ჩაბმულნი მშრომელი ქალები, რომლებსაც უფრო დიდი მოვალეობა ეკისრებათ კაპიტალის პატიმართა ოჯახის წევრებისათვის მატერიალური დახმარების აღმოსაჩენათ.

მიუხედავათ იმისა რომ ქალაქის რაიკომს მჭიდრო წერილობითი და ცოცხალი კავშირი აქვს ადგილებთან, ისინი მაინც ხშირად არავითარ მონაწილეობას არ ღებულობენ მიმდინარე კამპანიების ჩატარებაში.

ავიღოთ მაგალითად უჯრედების მუშაობის შემოწმების კამპანია, რომელიც უნდა გატარებულიყო მეტი ინიციატივით რემედასელების აქტივის მიერ, ვინაიდან ეს კამპანია მთელს მუშაობას მასის სამსჯავროს წინაშე გამოიტანდა. მაგრამ ქალაქის რაიონის უჯრედებმა, როგორიც არის: „ზარია ვოსტოკა"-ს სტამბას, 1-ლი საარტილერიო პოლკი. №№ 19 და 44 საბინაო ამხანაგობა არავითარი მონაწილეობა არ მიიღეს ამ კამპანიის ჩატარებაში. მიუხედავათ იმისა, რომ ისინი გამოიძახა რაიკომმა ამისთვის არავის არ მიუქცევია ყურადღება.

სარევიზიო კომისიები „საღათის ძილს" მისცემიან და არავითარ მუშაობას არ აწარმოებენ ადგილებზე. ეს მოვლენა საბოლოოდ აღმოფხვრილი უნდა იქნეს; სარევიზიო კომისიებს აწევთ დიდი საზოგადოებრივი მოვალეობა. ისინი უნდა დადგენ თავიანთი მოწოდების სიმაღლეზე. დროა ამას მიექცეს ჯეროვანი ყურადღება. სარევიზიო კომისიები უმოქმედობაში კი არ უნდა ჰბაძავდენ სხვებს, არამედ მათ უნდა გამოაცოცხლონ მუშაობა.

ყოველმა პატიოსანმა მშრომელმა უნდა იცოდეს, თუ რას ემსახურება რემედასი. ის სრული შეგნებით უნდა იღებდეს თავის წვლილს იმ დიად ამოცანებისათვის, რომლებსაც რემედასი ისახავს. ჩვენ არ უნდა დავივიწყოთ კაპიტალის პატიმრები და მათი უმწეოდ დარჩენილი ოჯახის წევრები. ჩვენი ინტერნაციონალური სოლიდარობით და დახმარების გაწევით უნდა გავამხნევოთ ისინი. უნდა განვამტკიცოთ წერილობითი კავშირი საშეფო ციხეებსა და მოძმე ორგანიზაციებთან. ამას უდიდესი მნიშვნელობა აქვს მშრომელთა ინტერნაციონალურად აღზრდის საქმეში.

ბ. დოლონაძე.

დავეხმაროთ კაპიტალის ტყვეებს

ამხ. კოტე საყვარელიძეს გამოწვევით რემედასის ჭიათურის რაიკომის სალროში შემომაქვს 3 მანეთი და ამავე მიზნით ვიწვევ შემდეგ ამხანაგებს:

1. იაკობ კავთელაძეს, 2. თერაფონ ენუქიძეს, 3. ამბროსი აბაშიძეს, 4. ამბროსი ჯაჯანიძეს, 5. სერგო კალანდაძეს, 6. სერგო მეტრეველს, 7. ერასტო ქურდაძეს, 8. გრ. მოდებაძეს, 9. მიხა მოდებაძეს, 10. სონია აბაშიძეს, 11. პელო პაპუშვილი, 12. ფაცია მელქაძე, 13. ლეონიდე ბრეგვაძეს, 14. კატო ურთხელიძეს, 15. მარო გურესაშვილს, 16. ნინო კურცხალიას, 17. ნინა კაკოკინას, 18. ბაბო გაფრინდაშვილს, 19. დარო ყიფიანს, 20. მატრონა ხრისტომიდს, 21. რიმა აბაშიძეს, 22. თამარა აბაშიძეს, 23. ლიზა მოდებაძეს, 24. გალინა ლაღიძეს და 25. პ. გალინა კუპატაძეს.

თამარა ჭავჭანიძე.

უცხოეთის პოლიტ-პატიმრების დასახმარებლათ შემომაქვს ერთი მანეთი და ამავე მიზნით ვიწვევ ჩემს შვილებს:

1. გუგუნას, 2. კოლიას, 3. უსუბის, 4. დათიკოს, 5. მიშიკოს, 6. ვასიკოსა და 7. ვერიჩკა კიკვაძეებს.

ლადიმერ კიკვაძე.

რემედასის სასარგებლოთ შემომაქვს ათი მანეთი და ამავე მიზნით ვიწვევ შემდეგ ამხანაგებს:

1. გიორგი მირიანაშვილს, 2. იონა ჭოჭუას, 3. მ. გოგიშვილს, 4. მ. ჩხეიძეს, 5. არ. პეტროსოვს, 6. ნ. მჭედლიშვილს, 7. ვ. დავითიანს, 8. შ. ხაჭაპურიძეს, 9. ჟ. ასათიანს, 10. შ. ადეიშვილს, 11. პ. გურაშვილს და 12. ვ. დუღაშვილს.

ვოტე ჩიქვინიძე.

გამომცემელი რემედასის საქ. ცენტრ. კომიტეტი. **რედაქტორი: შამშე ლეჟავა.**

ტფილისი, ს. ს. მ. ფ.ს. პოლიგრ.-ტრ.1-ლი სტამბა, პლეხ. გამზირი №91, მთავარლიტი № 167. შეკვეთა № 732. ტირაჟი 8000.

ფასი 20 კაპ.

გამოიფიქრეთ და იკითხეთ

რემედასის საქართველოს ცეკას და ტფილისის საოლქო კომიტეტის
ყოველთვიური მასიური ორგანო ჟურნალ

1930 **რემედასი** 1930

გამოცემის წელი მეშვიდე

ჟურნალში უმთავრესი ყურადღება ექცევა საერთაშორისო რევოლიუციონურ მოძრაობას, თეთრი ტერორისა და ფაშიზმის თარეშს, როგორც დასავლეთ-ევროპის კაპიტალისტურ სახელმწიფოებში, ისე აღმოსავლეთის კოლონიალურ და ნახევრად კოლონიალურ ქვეყნებში; ბატიმარ რევოლიუციონერების მდგომარეობას კაპიტალის საჯეროობილეებში; რემედასის, როგორც **საბჭოთა პავშირისა და საქართველოს ორგანიზაციების, ისე უცხოეთის სექციების მოღვაწეობას.** ფართე ადგილი ეთმობა აგრეთვე მხატვრულ ლიტერატურას და მხატვრობას. ჟურნალში მოთავსებული იქნება მდიდარი ილიუსტრაცია, როგორც საერთაშორისო მუშათა კლასის და რევოლიუციონური გლეხობის კლასობრივი ბრძოლების ეპიზოდებიდან, ისე ყველა ქვეყნის რემედასის სექციების მუშაობიდან.

ხელის მოწერის პირობები

ერთი თვით	20 კაპ.	ექვსი თვით	1 მ. 15 კაპ.
სამი თვით	60 „	ცხრა თვით	1 „ 70 „
		ერთი წლით	2 „ 20 „

ხელისმოწერა მიიღება მხოლოდ ყოველი თვის პირველ რიცხვიდან

ყოველი აქტიური რემედასელი, უჯრედი, ქოხ-სამკითხველო, მუშა-მოსამსახურე, მშრომელი გლეხი და დიასახლისი უნდა გახდეს ჩვენი ჟურნალის ხელისმომწერი.

ჟურნალ „რემედას“-ზე ხელისმოწერით ჩვენ ვალვიებთ მშრომელ მასაში ინტერნაციონალურ ერთსულოვნებას.

რემედასის უჯრედებო და გეჯდვითი სიტყვის ორგანიზატორებო იზრუნეთ თქვენი ჟურნალის გავრცელებაზე

ჟურნალზე ხელის მოწერა იწარმოებს, როგორც რემედასის საქართველოს ყველა საოლქო, სამაზრო, სარაიონო კომიტეტებში და უჯრედებში, ისე ფოსტა-ტელეგრაფის განყოფილებებში.

1930 წ. იანვრის პირველიდან ჟურნალ „რემედას“ გადაეგზავნება მხოლოდ ხელის მოწერლებს.

რემედასის საქ. ცენტრალურ კომიტეტის გამომცემლობა.